№ 133 | 1877—1897 | № 133

პარასკევი, 4 ივლისი 1897 წ.

# ივერია

**ხაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 1 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 60 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| ' . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 1 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 1 . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227

## რედაქციისაგან

გაზ. „ივერიის" ამა წლის პირველ ივლისის №-ში დაბეჭდილი ფელეტონი „ხევი და ორის სოფლის დავა ერთ სოფელთან" ასოთ ამწყობთაგან ისე არის არეული, რომ მკითხველი ვერას გაიგებს-რა. ბოდიშს ვიხდით რა მკითხველთა წინაშე ამის გამო, ამ წერილს ცალკე დავბეჭდავთ და ამ დღეებში დავურიგებთ ჩვენს ხელის მომწერლებს.

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 16. წილის რაოდენობის განურჩევლად ყოველს წევრს საზოგადოებისას საზოგადო კრებაზედ მხოლოდ ერთის ხმის უფლება აქვს; წევრს უფლება არა აქვს თავისი ხმა სხვას გადასცეს.

შენიშვნა 1. საზოგადოების უწლოვანს წევრებს საზოგადო კრებებზედ ხმის უფლება არ ეძლევათ და არც საზოგადოების საქმეთა მმართველ-გამგეობის თანამდებობის აღმასრულებლად იქმნებიან არჩეულნი.

შენიშვნა 2. როდესაც საზოგადოების საქმეს, მაგალითად, საქონლის მისყიდვას, შენობის დაქირავებასა და სხვა სავაჭრო ხელშეკრულობათ, რომელიმე წევრი ასრულობს, მაშინ მას უფლება არა აქვს საქმის გარდაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს.

§ 17. წევრს შეუძლიან თავისი წილი, გამგეობის თანხმობით, საზოგადოებისავე წევრს გადასცეს ან გარეშე კაცს, თუ იგი წევრობის უფლებას მოკლებული არ არის; როდესაც წილს გარეშე კაცი იღებს, იგი მოკალეა პირველ დასაწყისი გარდასახადი შეიტანოს საზოგადოებაში.

შენიშვნა. პირველ-დასაწყისი გარდასახადი წევრს უკან აღარ უბრუნდება, არც მაშინ, როდესაც წევრი თავისის ნებით ანებებს თავს საზოგადოებასა და არც მაშინ, როდესაც თვითონ საზოგადოება გამორიცხავს.

§ 18. საზოგადოების ზარალში თითოეული წევრი მხოლოდ საზოგადოების კასსაში წარდგენილ თავისს საწილო ფულით არის პასუხის-მგებელი; ამის გარეშე იგი საზოგადოების საქმეებში არაფრით არ აგებს პასუხს — არც პირადად და არც სავალდებულო დამატებით გარდასახადით.

§ 19. წევრი, რომელიც საზოგადოების კასსაში წარსადგენს გარდასახადს (§§ 3 და 13) თავისს დროზედ არ წარადგენს, გამგეობის წინადადებით წარმომადგენელთა კრებისაგან შეიძლება გამორიცხულ იქმნას წევრობიდგან.

§ 20. თავისს დროზედ გარდასახადთა წარუდგენლობისა გარდა, წევრი შეიძლება გამოირიცხოს მაშინაც, როდესაც წესდებას დაარღვევს, ან შენიშნული იქმნება, როგორც მავნებელი წევრი საზოგადოებისა და მისის ინტერესებისა.

§ 21. წევრის გამორიცხვა წარმომადგენელთა კრების (§ 39) დამსწრე წევრთა $^2/_3$ განაჩენით შეიძლება მხოლოდ; ამასთანავე წარმომადგენელთა კრება ვალდებულია, თუ გამორიცხული წევრი მოისურვებს, უველა მის მიერ წარდგენილი გასამართლებელი საბუთები მოისმინოს.

§ 22. როგორც გამორიცხულთ, ისე თავისის ნებით საზოგადოებიდგან გასულს წევრებს და აგრეთვე იმათ, ვისაც რამდენიმე წილი აქვს, მათ მიერ საზოგადოების კასსაში წარდგენილი წილის ფული, ხვედრი დივიდენდი და ნავაჭრ საქონლის პრემია შეიძლება გამგეობამ უკანვე დაუბრუნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ამის სურვილს განაცხადებენ წერილობით და წარმომადგენელთა კრება მიმდინარე სავაჭრო წლის ანგარიშს დაამტკიცებს; ამასთანავე საზოგადოებამ ჯერ უველა ანგარიში უნდა გასწოროს, საზოგადოების ზარალის შესავსებად ხვედრი ფული გამოურიცხოს წევრს წილის ფულიდგან და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნოს ზემოაღნიშნული ფული. ფულის მიცემის ვადა წარმომადგენელთა კრებისაგან არის დადგენილი, მაგრამ ანგარიშის დამტკიცების დღიდგან სამს თვეს არ უნდა გადააჭარბოს ამ ვადამ.

§ 23. წევრნი, რომელნიც თავისის ნებით დაანებებენ საზოგადოებას თავს, ან გარდასახადთა თავისს დროზედ შეუტანლობისა გამო გამორიცხულ იქმნებიან, შეიძლება კვლავ იქმნან მიღებულნი, თუ თანახმად 13-§-სა, სავალდებულო წილის ფულსა და პირველ-დასაწყისს გარდასახადს წარადგენენ. ხოლო სხვა მიზეზით გამორიცხულ წევრთ უკან არავითარს შემთხვევაში არ მიიღებენ.

შენიშვნა. გარდასახადთა თავისს დროზედ შეუტანლობისა გამო გამორიცხულნი წევრნი, გარდა ამისა, მეორედ შესვლის დროს მოვალენი არიან მათზედ დარჩენილი საზოგადოების ვალი ამ თავით შეიტანონ.

§ 24. წევრის სიკვდილის დროს მთელი მისი წილის ფული, აგრეთვე დივიდენდი და ნავაჭრ საქონლის პრემია წევრის მემკვიდრეთ ეძლევათ იმავე წესითა და რიგით, როგორც თავისის ნებით საზოგადოებიდგან გასულთ წევრთ (§ 22).

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია", № 132.

—

დამტკიცებულ იქმნენ: საპატიმროთა სამზრუნველოს განყოფილების დირექტორებად ყუბისა—კოლეჟსკი რეგისტრატორი ანტონ ოცხელი, ლენქორანისა—ტიტულიარნი სოვეტნიკი ლევან მამულაიშვილი და შემახიისა—ნადვორნი სოვეტნიკი სპირიდონ ფურცელაძე.

დათხოვნილ იქმნა საზაფხულოდ ორი თვის ვადით, ტემრიუკის ოლქის მომრიგებელი მოსამართლე თავადი მაღალაშვილი.

## ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 4 ივლისს, მოხდება კრება იმათი, ვინც მომავალის წლისათვის ქართულ [illegible] გამმართველ ამხანაგობ[illegible] ლეობის მიღების სურვი[illegible] და. ამათ მოლაპარ[illegible] იმის შესახებ, თუ ამ [illegible] ზონისათვის რანაირა[illegible] მუშაონ წესი და რ[illegible] ნების მართვისა.

⁂ გუშინ, 3 ივლისს, დილის 8 საათზედ კავკასიის რკინის გზის უფროსი ვედენეევი და ამავე გზის ცალკე სამსახურის უფროსები ბათუმისაკენ წავიდნენ ლიანდაგის დასათვალიერებლად. სხვათა შორის, დაათვალიერებენ ქიათურის შტოსაც.

⁂ გუშინ-წინ, 2 ივლისს, ღამის 10 საათსა და 24 წამზედ, როდესაც საავარაკო ღამის საგანგებო სახალხო მატარებელი ტფილისის სადგურზედ მოვიდა, ამ დროს ვიღაც კაცი, ასე 40 წლისა, ლიანდაგზედ გადარბენას თურმე აპირებდა, ველარ მოასწრო, მატარებელს ქვეშ ჩავარდა და იქვე სული გააფრთხობინა. გვამი ამ უცნობის კაცისა რკინის გზის საავადმყოფოში წაიღეს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის წლიურ ანგარიშიდგან სჩანს, რომ წარსულს წელს ტფილისში სულ 252 ბაღი და ბოსტანი ყოფილა, რომელთაც სჭერიათ 578 დღიური და 228 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, მათ შორის 4 ბაღი სახელმწიფო ყოფილა, 2 საეკკლესიო, 2 ქალაქისა და დანარჩენი 244 ბაღი კერძო კაცებისა, ამ ბაღებს წარსულს 1896 წელს სულ 60,680 მან. შემოსავალი ჰქონიათ.

⁂ ქალაქს ნავთლუღში ნავთის აუზები აქვს, რომელნიც დღემდის უსარგებლოდ იყვნენ დატოვებულნი, ხოლო ეხლა როგორც იქმნა მოუფიქრებია იმათი გამოყენება. საყასპოზედ აუა-[illegible]

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელიც ამ ჟამად ცნობებსა ჰკრებს საქართველოს რა და რა ადგილში უნდა იქმნას ახალი გზები გაყვანილი, ან ძველი იქმნას შეკეთებული სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივის აღებ-მიცემობის განსაკარგებლადა და წინ წასაწევად, სწერენ სურამიდგანა და ბორჯომის ხეობიდგან: მთელს სურამის მიდამოებში, გომიდგან დაწყებული და აგრეთვე ბორჯომისაკენ, სადაც ადგილები მთა-გორიანია, სავალი გზები მთლად წამხდარია და ადგილობრივ მცხოვრებთა მიწის მოსავალი უგზოობისა გამო ბაზარს ვერ ჰპოულობს. წარსულის წლის გამანადგურებელმა წვიმა ნიაღვრებმა ხომ თავისი დაჰმართა გზებს. არ არის გომსა და სურამს შუა ხიდები, რომ მტკვრის ორთავ ნაპირის მცხოვრებთ

## ფელეტონი

—

### პოეტის ფიქრი

(ნაწყვეტი)

და შენ, გონებავ, იმას მირჩევ,
რომ მოღალატეს
კვალად ვემონო, ჩვეულებრივ გავუხსნა გული?!.
დადეგ, დაჩლუნგდი, თვით ცბიერო,
ამის მრჩეველო,
უკუნისამდე იყავ ღვთისგან წყეული, კრული!..
თუ ჩემი გრძნობა, ჩემის სულის წმიდათა-წმიდა
ფერხთ ქვეშ გათელა, ვითა მტვერი,
ვით ბილწი გველი,—
დღეს ვით გაჰბედავს თვით მისგანვე
გმობილს, განდევნილს,
კვლავაც შემახოს შემწიკვლული ბაგე
და ხელი!
არა და არა!.. თვით ზეცამაც რომ
დაიგრგვინოს,
თავს მეხი დამცეს, მტვრად მაქციოს,
გამანადგუროს,
მაინც გმირულად გავძახებ ცის ოთხსავე კიდეს,
რომ ჩემმა გულმა მოღალატეს არ
უერთგულოს.
განმშორდეს! ჩემს სულს ქვემძრომთანა არ აქვს საერთო:
არც გრძნობათ ღელვა, არც ტრფიალი, არც სიძულილი,
ანგელოსთ სადგურს ვერასოდეს ვერ
დაიმკვიდრებს
ქვესკნელს ნაშობი, შებღალული,
ცოდვისა შვილი...

განდეგილი

### ქ უ რ დ ი

ამბავი ა. დე-ნორისა

(დასასრული *)

უცნობმა მწარედ ამოიოხრა და თვალებზედ ხელი გადისო. ექიმმა სიგარა გააბოლა და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მე წინადვე ვიცი, როგორც გათავდება ეგ ამბავიო. გავიდა რამდენიმე წამი და უცნობმა ხელ-ახლა განაგრძო:

„რადგანაც ერთი კვირის მეტი დრო აღარა რჩებოდა, ლოტტამ ყოველ დღე X. ქუჩაზედ დაიწყო სიარული, სადაც ოქრო-მჭედლის მაღაზიასთან გაჩერდებოდა ხოლმე და ფანჯრიდგან ოქროსა და ვერცხლის ავეჯეულობას ათვალიერებდა. შიგნით ძეწკვები და სხვა ძვირფასი ნივთები ეკიდა, რომლის იქითაც ორად გაყოფილი თხელი ფარდა იყო ჩამოფარებული. ფარდას იქით აღარაფერი სჩანდა, თუმცა-კი შიგნიდგან გარედ ყველაფერს დაინახავდა კაცი. ფანჯრის ფიცარზედ, რომელსაც აბრეშუმი ჰქონდა გადაკრული, მრავლად ეწყო საყურეები, ქინძისთავები, სამაჯურები, ძვირფას თვლიანი ბეჭდები და მრავალი სხვა. ნივთები ზოგი თავ-ახდილ პატარა ყუთებში იყო ჩალაგებული, ზოგი ისე ეწყო და ყველას-კი ქაღალდი ჰქონდა მიკრული, რომელზედაც ფასი ეწერა. შუა ადგილას შავის აბრეშუმით გადაკრული ყუთიდგან კოხტად გამოიჭყიტებოდა ბრილიანტის გულის ქინძისთავი. ამ ქინძისთავს უკან პატარა ქაღალდი ეკიდა და ზედ სამას ორმოცდა-ათი მარკა ეწერა. ყველაზედ ძვირფასი ნივთი ეს იყო. მეექვსე დღეს როგორც იყო ლოტტამ გადაწყვიტა მაღაზიაში შესვლა და შესვლისათანავე მიჰმართა იქ მყოფ მოხუცებულს.

—„შეგიძლიანთ ეს ეხლავე გამიკეთოთ?—ჰკითხა ლოტტამ და თან იაფ ფასიანი ვერცხლის საყურე გაუშვირა, რომელსაც განგებ წვერი გადაუტეხა.

—„შეიძლება, ქალბატონო!—მიუგო იმან—ეს მალე იქმნება მზად. სად გვიბრძანებთ გამოგიგზავნოთ?

—„არა, გამოგზავნა საჭირო არ არის, მე თითონ მოვიცდი აქ.

—„მაგრამ ამის გაკეთებას ნახევარი საათი მაინც დასჭირდება, ქალბატონო!.. იქნება მანამდის სხვა რამ საქმე გქონდეთ.

—„არა, არა,—აჩქარებით მიუგო ლოტტამ:—აქ მოვიცდი, მხოლოდ ეცადეთ-კი, რომ რაც შეიძლება ჩქარა გააკეთოთ.

—„თქვენი ნებაა! სთქვა ოქრომჭედელმა და თან სკამი მიუდგა.

მოხუცებული გამოცდილი, გაიძვერა კაცი იყო და ქალის აღელვებულმა ლაპარაკმა და სიჩქარემ ცოტა არ იყოს დააფიქრა. ლოტტა-კი მოუთმენლად მოელოდდა მოხუცებულის მეორე ოთახში გასვლას. ის ისე კანკალებდა, ნერვები ისე ჰქონდა აშლილი, რომ სკამზედ დაჯდომა ძლივს მოახერხა. მაღაზიას უკან კედელი ფიცრისა ჰქონდა, რომლის იქით მოხუცებულის სახელოსნო იყო მოთავსებული. იქ იდგა ერთი ძველი სტოლი, რომელზედაც სხვა-და-სხვა სამუშაო იარაღი ელაგა და ორი დამტვრეული სკამი. ფიცრის კედელს რამდენიმე ჯურჯუტანა ჰქონდა დატანებული, საიდგანაც კაცს შეუმჩნევლად შეეძლო დაენახა ყველაფერი, რაც-კი მაღაზიაში მოხდებოდა. მოხუცებული გავიდა სახელოსნოში და საყურის კეთებას შეუდგა, დრო-გამოშვებით კი ჯურჯუტანაში გაიხედავდა ხოლმე. ლოტტამ თავისუფლად ამოისუნთქა. ეხლა დროა საქმეს შე-

*) იხ. „ივერია" № 132.

მიმოსვლა ჰქონდეთ, მაგალითად მტკვრის მარჯვენა მხარეზედ მცხოვრებნი რკინის გზას მთლად მოწყვეტილები არიან. მართალია ბორანი ჰმუშაობს ორს ადგილას, მაგრამ კერძო კაცების ხელშია და მცხოვრებთ მეტად ავიწროვებს დიდი გარდასახადი. ამის გამო უსათუოდ საჭირო ცერონისი, ბერძენაული, მოხისი და გომი კარგის გზით იქმნენ შეერთებულნი; საჭიროა სადგ. მიხაილოვის მახლობლად და გომთან ხიდები გაკეთდეს, გაკეთდეს გზები და შესწორდეს სადაც-კი ძველი გზაა, ს. რზონასა, ტაგისტასა, შვლის-ყურსა, ხცისსა, წრომსა, მაწალეთსა, სამწევროთსა და ქარელს შუა, რომ აქ აღნიშნულს სოფლებს შეეძლოთ სოფლის ნაწარმოები და მიწის მოსავალი რკინის გზით ადვილად გაიტანონ გასასყიდად.

ამასთანავე ურჩევენ ხსენებულ საბჭოს, რომ გზების გაყვანისა და შეკეთების დროს ძველი საშუალება—ბეგარა—არ იხმარონ, რადგანაც ამ შემთხვევაში ბევრი უწესოება და უკანონობა ხდება და ადგილობრივი ადმინისტრაცია რიგიანად ვერ უძღვება საქმესა. ამ აზრით, საბჭოს ურჩევიათ, რომ მან თავისის მხრივ პროექტი შეადგინოს და ადგილობრივ უმაღლესს ადმინისტრაციას წარუდგინოს, თუ როგორ და რანაირად შეიცვალოს ეს ბეგარა.

⁂ როგორც ეხსომებათ ჩვენს მკითხველებს, ნავთის მწარმოებელს იუნგს სუფსაში თავს დაესხნენ ბოროტ-მომქმედნი. ახლა ამ საქმის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავეთ გარდაუწყვიტა: კვასხაძეს, კვირველიასა და ანთაძეს 4 წლით მადნებში მუშაობა, ხოლო მძინარაძე გამართლებულ იქმნა.

⁂ რუსულ გაზეთების „ნოვოე ობოზრენიე“-სა, „კავკაზ“-ისა და „კავკ. სოფ.-სამეურნეო გაზ.“ გუშინდელს ნომრებში ერთი და იგივე ამბავი, მოწერილი რაჭიდგან, იქამდის არეულად არის დაბეჭდილი, რომ წამკითხველი ვერ გაიგებს, რომელი ამათგანი უნდა ჩაითვალოს სარწმუნო ცნობად.

სამივე გაზეთი სწერს, რომ რაჭაში ამ ჟამად ფილოქსერა მეტად გავრცელდაო და ასახელებენ სოფელს, რომელშიაც ფილოქსერა აღმოჩენილა. ეს სოფელი მათის სიტყვით სამს სახელს ატარებს: სამთისს („ნოვ. ობოზ.“ უწოდებს), სამებას („კავკაზ“-ი) და სადმელს („კავკ. სასოფ.-სამეუ. გაზ.“). საყურადღებოა ვიცოდეთ, რომელს ამათგანში აღმოჩნდა ფილოქსერა? ან იქნება სამივეში იჩინა თავი ამ სენმა? რომელი ერთია?

⁂ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მისსიონერს ზაქათალის ოლქში ტ. ივანიცკის შეუტანია მოხსენება საზოგადოების საბჭოში იმის შესახებ, რომ ხსენებულ ოლქში საშუალო სამისიონერო სასწავლებელი იქმნას დაარსებული ინგილოთათვის, ისეთი, როგორც ყაზანშია მონათლულ თათრებისათვის. ივანიცკის პროექტით, ხსენებულ სასწავლებელში ინგილოებს თათრულს ენაზედ უნდა ასწავლონ, ხოლო რადგან ამ ენაზედ ანბანი არ არსებობს, შედგენილ იქმნას იგი ქართულის ასოებით, და სალმრთო წერილიც იმაზედ გადაითარგმნოს.

ეს მოხსენება მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა გადასცა განსახილველად ცალკე კომისიას, რომელსაც შეადგენდნენ სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სერაფიმი, არქიმანდრიტი ლეონიდი და დეკანოზი ელიევი. კომისიამ, განიხილა რა ხსენებული მოხსენება, არ შეიწყნარა იგი შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1) ზაქათალის ოლქში სცხოვრობენ ინგილოები, რომელნიც ჩამომავლობით ქართველები არიან და ქართული ენა ძალიან კარგად იციან, მაშასადამე, თათრული იმათთვის მეტი იქმნება. 2) ნაცვლად საშუალო სამისიონერო სასწავლებლისა, უმჯობესი იქმნება ინგილოთა შვილთათვის ტფილისისა და თელავის სასულიერო სასწავლებლებში დაარსებულ იქმნას რამდენიმე სტიპენდია და 3) ქრისტიანობის გავრცელება ლეკებსა და სხვა მაჰმადიანთა შორის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მოქმედების წრეში არ შედის, ამიტომ ბ-ნმა ივანიცკიმ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ზაქათალის ოლქის ქართველ მცხოვრებლებს, ე. ი. ინგილოებს“. („კავკაზი“).

⁂ სტანიცა კოზნესენსკაია, (სუნჯის განყოფილება). აქეთ დიდი გვალვა დაიჭირა. სათიბი ბალახები სულ გადახმა და ყანებიც ძალიან ნაკლებად არის. სათიბების მესამედი ნაწილიც აღარ ითიბება, საზამთროს და ნესვის ბაღჩებიც ძალიან ცუდს მდგომარეობაშია.

⁂ სამშაბათს, 1 ივლისს, პუშკინის ქუჩაზედ მეოფ თევზის მაღაზიის პატრონმა მიხეილ მაკედონსკიმ გამოაცხადა პოლიციაში, რომ ნოქრებმა კონსტანტინე რუდნიკევიჩმა და ალექსანდრე ბექაიამ უუთიდგან ფული და მაღაზიიდგან თევზი მომპარესო, სულ 520 მანათისაო. რუდნიკევიჩი და ბექაია დრო-გამოშვებით იპარავდნენ თურმე უუთიდგან ფულს და თევზიც ცოტ-ცოტა გაჰქონდათ მაღაზიიდგან. დამნაშავენი შეუპყრიათ და მეტეხის ციხეში გაუგზავნიათ.

---

## სახელდახელო

(უბად ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ძალიან ძნელი ყოფილა სიცხე, რომელიც „კულტუროსანზედაც“ ისე ჰმოქმედებს თურმე, როგორც არაკულტუროსანზედ. დასველებულს ქათამსა და დასიცხულს ადამიანს ერთი მგზავსება აქვთ და ეს მგზავსება ის არის, რომ ერთსაცა და მეორესაც თავ-გზა აბნეული და დავთარი მოსაზრებისა დაკარგული აქვს. ამ თიბათვე-მკათათვის სიცხეს, რომელიც ისე გაპაპანაქებულია ამ ჟამად ჩვენს კურთხეულს ტფილისში, რომ ქუჩაზედ კვერცხი მოიწვის, თურმე ჩვენს თანამოძმე „Нов. Обоз.“-ეს რედაქციაზედაც უმოქმედნია. ამ გაზეთს ჩვენი დიდი სიყვარული აქვს და დრო და დრო მოკითხვის სალამს დაგვიყეფს ხოლმე. აი, გუშინ-წინ, 2 ივლისსაც, რა შორით შორს სალამი გადმოგვყეფა. მან თავისს ყოვლად გაუ[რ]კვეველს „ნარკვევში“ აუწყა მკითხველებს, რომ

„გაზ. „ივერია“ სიხარულით (?) აცნობებს თავისს მკითხველებს ამბავს იმისას, რომ განსვენებულმა ცენზორმა ლ. ისარლოვმა დიდ-ძალი მასალა დასტოვა კავკასიის შესახებ და ჩქარა გამოვა პირველი ნაწილი მისის თხზულებათაო.

„ვარწმუნებთ პატივცემულს რედაქციას, რომ პირველი ნაწილი ამ თხზულებათა ქართულს ენაზედ უკვე დაიბეჭდა ორისა თუ სამის წლის წინად.

„საზოგადოდ ისე ცოტა თხზულებანი იბეჭდება ქართულს ენაზედ და ხსენებული თხზულება ისარლოვისა იმდენად მოზრდილია, რომ ძნელად გაზ. „ივერიის“ მეახალამბეს შესძლებოდა მისი დავიწყება, მეტისმეტად რომ არ იყოს გატაცებული ტფილისის საყასბოს ტრიხინებითაო“.

ჯერ დაუკვირდით ამ ამბავს, რომ გაზ. „Нов. Обоз.“-ეს მენარკვევემ ჩვენს ახალს ამბავს კიჭები დაუნახა და სიხარული შეატყო და მეორე—ვარწმუნებთ პატივცემულს „Нов. Обоз.“-ეს, მისი მენარკვევე დასიცხული რომ არა ყოფილიყო, ჩვენს მეახალამბეს ტრიხინებით გატაცებას ვერ შესწამებდა და წაღმა უკუღმად არ მოეჩვენებოდა. აი რასა ვწერდით ჩვენ ჩვენს ახალ ამბავში:

„განსვენებულს ლ. ს. ისარლიშვილს, ქართულის ენის ცენზორად ნამყოფს, აუარებელი ხელთ-ნაწერი დარჩენია თურმე კავკასიის შესახებ. ამ ხელთ-ნაწერის მცირედი ნაწილი დაბეჭდილი ყოფილა რუსულ გაზ. „კავკაზში“, ხოლო დანარჩენი ჯერ არსად დაბეჭდილა. ეხლა მემკვიდრეებს აზრადა აქვთ ცალკე გამოსცენ განსვენებულის თხზულებანი. პირველი ტომის გამოცემას უკვე შესდგომიან, რომელშიაც შემდეგი სტატიები იქმნება დაბეჭდილი: 1) რუსების მიერ არზრუმის აღება; 2) ოსმალეთის საქართველოს საზღვრები; 3) მგზავრების შენიშვნები; 4) ახალციხის მაზრა, ეტნოგრაფიული მიმოხილვა; 5) ტფილისელის მოგონებანი; 6) საქართველოს გუბერნატორად ნამყოფის თავ. ფალავანდიშვილის ნაამბობი; 7) ბატონ-ყმობა იმერეთსა და გურიაში; 8) შავის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირების დასახლების შესახებ; 9) ქრისტიანობის ნაშთნი ოსმალეთ საქართველოში; 10) მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოში 1801—1831 წლამდე და მრავალი სხვა.“

ვინც-კი, დაუსიცხავი, რასაკვირველია, წაიკითხავდა ამ ამბავს, ადვილად მიხვდებოდა, რომ აქ განსვენებულის ისარლიშვილის რუსულ ნაწერების შესახებ არის ლაპარაკი, რადგან მოხსენებულია მისი წერილები, რუსულს გაზ. „კავკასში“ დაბეჭდილი. ქართული გამოცემა რომ ყოფილიყო, ნათქვამი გვექნებოდა, რომ თარგმანი ამ წერილებისა იბეჭდებაო. ეხლა ვიკითხოთ, ამ ორისა თუ სამის წლის წინად რა პირველი ტომი დაიბეჭდა ლ. ისარლიშვილის თხზულებათა, რომლის არ-ცოდნასაც „Нов. Обоз.“-ე ისეთის რიხითა და ბავშვურის თავ-მოწონებით გვიკიჟინებს. აი რა: 1895 წელს დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ლექსნი, თქმულნი ლუკა სტ. ისარლოვის მიერ“, ქართულს ენაზედ დაწერილნი. ჯერ ერთი, ეს წიგნი არც პირველი ტომია, არც მეორე, პირდაპირ ცალკე გამოცემაა, მეორე—არც ისეთი დიდია (სულ 153 გვერდს შეიცავს პატარა ფორმატისას და ჰღირს 30 კაპ.), არც ისეთი „объемистъ“-ია და მესამე—საერთო არა აქვს-რა იმასთან, რაც ეხლა იბეჭდება. ეხლა-კი იბეჭდება ისტორიული და ეტნოგრაფიული წერილები განსვენებულისა, რუსულს ენაზედ დაწერილი და ზოგიერთი მათგანი გაზ. „კავკასში“ დაბეჭდილი (брошюра: „Историческія и этнографическія статьи по Кавказу“, соч. Л. С. Исарлова).

ყოველ აქედგან რა უნდა დავასკვნათო? იკითხავთ. ის, რომ ვიდრე „Нов. Обоз.“ სხვას ტფილისის საყასბოს ტრიხინებით გატაცებას უკიჟინებდეს და სხვის თვალში ბეწვის ნახვით განგაშს დაჰკრავდეს, ურჩევნიან ჯერ თავისის თვალიდგან მოიშოროს ძელი, და ჯერ სახტომი გასინჯოს, მერე ისე დაიწყოს როკვა და ხტომა, თორემ კისერს წაატეხს სადმე. საქმე ის-კი არ არის, რომ ქონდრის კაცს ადვილად ებჯინებოდეს გული ყელში, არამედ ისა, რომ ადამიანმა წინ დაიხედოს და ნაბიჯი ისე გადასდგას. ყოველ ამაში, „ივერიის“ ნაკლი-კი არა, უფრო „Нов. Обоз.“-ს სურვილი სჩანს ნაკლის დანახვისა. ეს დავიხსომოთ და ასევე ჩავიწეროთ სამახსოვრო წიგნში. ეხლა-კი ამას ვეტყვით ჩვენს პატივცემულს თანამოძმეს, რომ

---

უდგეს. ყოყმანი და დაგვიანება აღარ გამოდგება... მხოლოდ საჭიროა მაღაზიაში არავინ შემოვიდეს... მოხუცებულმა ნახევარი საათი სთქვა და ეს დრო სრულიად საკმარისია კაცმა ყველაფერი აალაგოს...მაგრამ ლოტას ერთი ნივთის მეტი არ უნდა... იცის კიდეც სად არის და სიბნელეში ადვილად შეუძლიან იმის მოძებნა. ლოტტა წყნარად წამოდგა, ფეხზედ და ფანჯარას მიუახლოვდა. აი ის გულის ქინძისთავი შავის აბრეშუმით კადაკრულს ყუთში.. როგორ ათას ფრად ბრჭყვიალებს მზის სინათლეზედ!.. ლოტტამ ნელნელა გაჰყო ხელი ფარდის ქვეშ და... უცბად რაღაც ჩრდილი მიადგა ქინძისთავს. ქალმა თვალები აახილა და კინაღამ შეჰკივლა. ქუჩაში ფანჯრის წინ კარგად ჩაცმული ყმაწვილი კაცი გაჩერებულიყო და ნივთებს ათვალიერებდა. ღმერთო! ეხლა რამეს ყიდვა რომ მოუნდეს და მაღაზიაში შემოვიდეს!.. იქნებ დაინახა კიდეც გაშვერილი ხელი... ქალს კანკალი დააწყებინა. დაჭერისა არ ეშინოდა, არა... ის დარწმუნებული იყო, დღეს თუ არა ხვალ მაინც გაიგებენ და სირცხვილი და დაცინვა მოელოდა, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა. ვაი თუ სისრულეში ვერ მოიყვანოს თავისი განზრახვა და ვერ გადაააარჩინოს საყვარელი კაცი, აი რა აწუხებდა იმას. იქნება იმ ყმაწვილმა კაცმა სწორედ ეს ქინძისთავი იყიდოს და თავისს საყვარელს გადასცეს, დედაკაცს, რომელსაც ვინ იცის არც-კი უყვარს და ატყუებს მხოლოდ. ლოტტა-კი მზად არის სიყვარულს თავი შესწიროს... ქალმა ზიზღით გაჰხედა ყმაწვილ კაცს, ამავე დროს ორი ბებრუცანა თვალი არა ნაკლების ყურადღებით თვით იმას ათვალიერებდა ჯურჯუტანიდგან. დრო-კი ჩვეულებრივ მიდიოდა. ბოლოს უცნობმა ჩაიარა. ლოტტამ უკან მიიხედა, დუქანში ხომ არავინ არისო, მერე სტაცა ხელი პატარა ყუთს და ჯიბეში ჩაიდო. ფარდა ცოტა შეიძრა, მაგრამ მალე ისევ გასწორდა. ქალი სკამზედ ჩამოჯდა და თვალები დახუჭა. თავი ძალზედ ურატრატებდა, ყურებში თითქო ჩაქუჩებს უკაკუნებენო, და თანაც რაღაც საიდუმლო ხმა ჩასძახოდა „ქურდი ხარ, ქურდი!“ ამისდა მიუხედავად, ერთის წუთის შემდეგ, ქალმა ისეთი ნეტარება იგრძნო, თითქოს სამოთხის კარები გაეხსნაო. ეხლა ერთი ფიქრი, ერთი სურვილიღა ჰქონდა: წავიდეს ჩქარა, გასინჯოს მოპარული ნივთი და იმაში აღებული ფული საჩქაროდ ფოსტით გაუგზავნოს იმას. მაგრამ ამ მოხუცებულმა რად დაიგვიანა?... ჰო, რა კარგი იქმნება ჩქარა გაათავოს!.. მოხუცებულმა-კი პატარა ბიჭი აფრინა პოლიციაში და თითონ ჩვეულებრივ განაგრძო საქმე. ლოტტას ესმოდა მეორე ოთახიდგან იმის აცოდვილი, პატარა ჩაქუჩის კაკუნი.. ი, ადგა კიდეც... უთუოდ აქეთ მოდის. ქალი ფეხზედ წამოდგა, მაგრამ ამ დროს მოხუცებული უთუოდ ხელ-ახლა დაჯდა, რადგანაც სკამმა ჭაჭა-ჭუჭი დაიწყო. ქალი მოთმინებიდგან გამოდიოდა.

ბოლოს მოხუცებული გამოცოცდა. ამავე დროს ვიღაც უცნობი შემოვიდა დუქანში.

—„აი, ქალბატონო, თქვენი საყურე,—სთქვა მოხუცებულმა,—ეხლა კეთილი ინებეთ და მოგვეცით ის ნივთი, რომელიც თქვენ მოიპა-

ლოტტა საშინლად გაყვითლდა... თვალთ დაუბნელდა. გარშემო ვეღარაფერს ჰხედავდა... საშინლად შეჰკვილა და უთუოდ წაიქცეოდა, რომ პოლიციელს არ შეეკავებინა.

—„ყველაფერი ვიცით, ქალბატონო! სიცილითა სთქვა იმან და ჩხრეკა დაუწყო.

ქალი მაშინვე გონს მოვიდა. უცბად ჯიბეში ხელი ჩაიყო და თითები გარეული ფრინველის ბრჭყალებივით მოუჭირა ყუთს. პოლიციელმა მაღლა აუწია ხელი და ყუთის განთავისუფლებას სცდილობდა, ის კი გაშტერებული, თვალებ დაჭყეტილი შესცქეროდა და ხმას არ იღებდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიცელმა ყუთის ხელიდგან გამოაცალა და უთხრა: „უკან მომყევიო“, ქალმა ტირილი დაიწყო.

—„ჯერ გამოუცდელია!—ჩაილაპარაკა მოხუცებულმა, როდესაც პოლიციელი და ლოტტა დუქნიდგან გავიდნენ.—კიდევ ბევრი აკლია!..—განაგრძო იმან და თან საყურეს დაუწყო ტრიალი, რომელიც ლოტტას დაავიწყდა.“

უცნობი გაჩუმდა. ექიმი მაინც რეთ

თავისას არ იშლიდა და, ვითომ აქ არაფერიაო, ფანჯარა გაალო და სიგარის ნამწვი გადაისროლა.

— სამწუხარო ამბავია!..—სთქვა ბოლოს ვექილმა.—მახსოვს, თავისს დროზედ, გაზეთებში წავიკითხე ეგ ამბავი. თუ არა ვცდები, იმ ქალის მამამ, ვგონებ, დარდისაგან თავი დაირჩო.

უცნობმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხელი გაიშვირა ქუდისაკენ, რომელიც ზევით იყო ჩამოკიდებული.

ამ დროს მატარებელი სადგურს მიუახლოვდა და კონდუქტორმა კუპეს კარები შემოაღო.

— ქალმა რაღა ჰქნა?—ვკითხე მე, როდესაც უცნობმა გასვლა დააპირა.

— ლოტტა ჩემი ცოლი შეიქმნა,—მომიგო იმან, შემდეგ ყველას თავი დაგვიკრა და გარედ გავიდა.

ილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაუსინჯავსა სიტყვასა
ჩხავილი ჰსჯობან ტურისა“
და ეს კარგად დაიქვიოს ცხვირზედ!..

ჩიორა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ხონი.** რამდენიმე წელიწადია, რაც აქაურებმა იგრძნეს წიგნთ საცავის საჭიროება და მოინდომეს თავისის აზრის განხორციელება. მაგრამ რა? ხონში იმისთანა კაცი არ გამოჩნდა, რომ კისრა ეს საქმე და ბოლომდის მიეყვანა. ორის წლის წინად ერთმა აქაურ სემინარიის მასწავლებელთაგანმა ბ. ზ—მა შეჰკრიბა 200-დე რუსული წიგნები, რომლებიც დღეს ამშვენებენ აქაურ ოთკლასიან ნორმალურ სასწავლებლის ოთახს. საქმე მიწყნარდა ბ. ზ—ვის გადაყვანის გამო. შარშან იკისრეს აქაურმა შეგნებულებმა ეს საქმე და იმედიც მოგვცეს მისის დამთავრებისა. დანიშნეს კრება (ერთს კრებაზედ, სხვათა შორის, ჩუბინოვის ლექსიკონის უქონლობისა გამო, გაარჩიეს როგორ არის ქართულად „библіотека“ და როგორ „читальня“.), გაჰმართეს თეატრი და სეირნობა და საქმე მიწყნარდა. წელს, იმის და მიუხედავად, რომ ორი თუ სამი წერილი იყო აქაურ გაზეთებში, საქმე მიყრუებულია და წიგნთ-საცავის საქმე ყაზიბეგის მთაზედ არის მიყინული.

ახლად ამორჩეული მირაბი ბ-ნი შარაშიძე გულ მოდგინედ შეუდგა თავისის თანამდებობის ასრულებას; თხრილები ამოწმინდა, ნაპირებზედ სისუფთავეს ყურადღებას აქცევს და, როგორც ისმის, წყლის მომატებასაც აპირებს. იმედია, გამართლდება ეს ხმა, თორემ თქვენი მტერია, ჩვენ შეგვაწუხა უწყლობამ. ახლანდელი წყალი ერთს თვალს წისქვილს ძლივს აბრუნებს და ჰაერსაც თუ ასუფთავებს, თორემ არა სწმენდავს.

შავია—დია

—

**დ. ყვირილა.** (ზესტაფონი). ისე ჟურნალ-გაზეთებს არ წავიკითხავთ, რომ ყოველ დაბა-ქალაქიდგან არ იწერებოდნენ სისუფთავის შესახებ რასმე. ასე გასინჯეთ, პატარა სოფლებსაც-კი მიუქცევიათ სისუფთავისათვის ყურადღება, მაგრამ ჩვენს დაბას ჯერ სძინავს... მართალია, ერთხელ გამოიღვიძეს აქაურ ადმინისტრაციასთან ერთად (ისიც „შავის ჭირის“ შიშით იყო, თუ სხვებს მიჰბაძეს, არ ვიცით) და ცოტა არ იყოს მთელს დაბას მოძრაობა დაეტყო: დანიშნეს „სანიტარები“, „კომისია“ „საჭირო ფულის“ გასაწერად, რომლებმაც ჯეროვნად შეასრულეს „თავიანთი მოვალეობა“, და მუშებიც დაიქირავეს ნაგავის და სხვის რასმეს გადასატანად. ამ გვარად რამდენიმე ხნის განმავლობაში ყველანი დიდს ყურადღებას აქცევდნენ სისუფთავეს, რადგანაც ჯარიმისა ეშინოდათ.

გავიდა დრო, „სანიტრები“ სადღაც მიიმალ-მოიმალნენ, ქუჩებში დაიწყო ისევ უსუფთაობა და მოგროვდა „ნაგავ-ნუგავი“, მაგრამ ყურადღებას-კი არავინ აქცევს.

მართალია, ბ-ნი ბოქაული ორ თვეში ერთხელ ჩამოივლის ხოლმე ბაზარში და ყველას უბრძანებს: „სისუფთავე დაიცავით“-ო, მაგრამ როცა ის წავა, ეს ბრძანება „აბრაამის წიაღს-შინა“ განისვენებს, რადგანაც გამხსენებელი რავინა ჰყავთ,—თითონ-კი თავს რად შეიწუხებენ?..

ეხლა კი მგონი გვეშველება ზესტაფონელებს და ამ ცოტა ხანში, თუ არა; ამ წელიწადში, მაინც გვეღირსება შიგ ბაზარში ეკლესია, რომელიც აგვაშორებს სამი-ოთხი ვერსის მანძილზედ სიარულს, მაგრამ ამასთან არ შემიძლიან ერთი რამე არ ვუსაყვედურო მცხოვრებლებს, ეკლესიის პირდაპირ ისეთი ტბა დგას, რომ ბედაურიც ვერ გაასტანს შიგ, მეტადრე წამოწვიმების შემდეგ. ეს ტბა მოფენილია ათას გვარ ცუდ-სუნიანის ბალახით და შიგ ხომ აუარებელი ნაგავი ჰყრია, რის გამოც სწამლავს ახლო-მახლო ჰაერს და დიდი მავნებელიც არის ხალხისთვის, მეტადრე ისეთს ალაგას, სადაც იმყოფება ორი სასწავლებელი (სამრევლო და ნორმალური). იქვეა წიგნთ-საცავ-სამკითხველოც, რომელთანაც ისე ახლოს დგას, რომ დაგუბებული წყალი თითქმის კედლებსაც-კი სწვდება. ამ ტბისავე წყალობით აქაური მცხოვრებლები მშვენიერად მწყობრს მუსიკალურს ხმებს ისმენენ, რომლის გამომთქმელნი ტბაში დასახლებული ბაყაყები არიან. საკვირველია ღმერთმანი, ამასაც ხომ დიდი შრომა არა სჭირდება?.. თქმა უნდა და მიწის პატრონი ამოავსებს, რადგანაც სულ ერთის დღის შრომა უნდა. მაგრამ განა თქმა-კი შრომა არ არის?!.

თავისუფალი

## ავაზაკები გორის მაზრაში

ავაზაკებისაგან სწორედ არ ვიცით რა უნდა ვქნათ. 27 ივნისს მოუვიდა წერილი მღვდელ გაბრიელ ოქროპირიძეს და მისს შვილს მღვდელ მ. ბესარიონს ილიკო ფუხაშვილისაგან და გაბრიელ გიგოლაშვილისგან, რომლებიც იწერებოდნენ, რომ „ჩაფრები არას გიშველით და ფულს ნუ ჰხარჯავთ, ჩვენ აღარა დაგვრჩებარაო.“ გარდა ამისა, მუქარას იწერებოდნენ. ეს წერილი გამოატანეს სოფლის პაწია მწყემსს და გასამსჯელო ერთი შაური აჩუქეს. თან დაჰპირდნენ: „თუ ხვალ ამბავს ამოგვიტან, ერთს თეთრს აბაზს გაჩუქებთ, ისეთს, რომ სულ რძე გასდიოდესო“. რასაკვირველია, ჩვენც მოვემზადეთ და სტუმრებს მოუთმენლად მოველოდით, მაგრამ შიშით ველარ ჩამოჰბედეს.

იმ საღამოსვე ეს ამბავი ვაცნობეთ მეჯვრისხევის ბოქაულს ივანე მგალობლიშვილს, რომელიც იმავე ღამეს მოვიდა მოსაშველებლად თავისის ჩაფრებით. მეორე დღეს დაუარა მთელს ტყეს და ოსებს, მაგრამ რას იზამ, რა ჰქნას საწყალმა პოლიციამ ტყეში? რა გააწყოს, ან ტკბილის ენით რას ათქმევინებთ ხალხს? მოდი და სიტყვით გასტეხე ოსები.

დღეს, 29 ამ ივნისს, იპოვნეს წყლის პირზედ ავაზაკებისგან მოწერილი წერილი, რომელშიაც ლანძღავდნენ ბოქაულს. 30 ივნისსაც დილით ადგომის უმალ ვნახეთ წერილი მღვდლის გაბრიელ ოქროპირიძის გალავნის კედელზედ. იწერებოდა ვანო კახიშვილი. წერილს ზედ აგური ედო. წავიკითხეთ და შიგ ლანძღვა იყო ჯერ დარაჯებისა ე. ი. სინო ნუვრაძისა, ვანო თვაურისა და გიორგი ოქროპირიძისა და აგრეთვე მეჯვრისხევის ბოქაულისა. ძალიან სასტიკად ეპყრობა მეჯვრისხევის ბოქაული მგალობლიშვილი და ძალიანაც სცდილობს და სწადიან იმათი დაპატიმრება. არ ვიცით, ჯერ კიდევ როგორ გარდაწყდება ჩვენი ბედი. იმედი გვაქვს, რომ ისე არ დაგვტოვებენ და გვნახავენ, მაგრამ ჩვენც მეხივით დავხვდებით და ჩვენი ბედიც გარდაწყდება. 27 ივნისს სოფ. ფლავში ეკლესიასთან გაძარცვეს ვექილი ურია და ხუთი თუმანი წაართვეს.

ს. დიცში 29 ივნისის საღამოს თავს დაეცნენ მღვდელ ელისე კვანჭახაძეს, წაართვეს რაც რამე ებადა და თითონაც ორგან დასჭრეს ხანჯლით ბარძაყში. დასჭრეს აგრეთვე ერთი გლეხ კაციც, რომელიც ხმლით მიშველებოდა. დაჭრილები ცხინვალის ექიმთან წაიყვანეს. ცხინვალის ბოქაული გადავიდა, შეიტყო ყოველივე ამათი გარემოება და ისევე თავისს ბინაზედ დაბრუნდა.

საშა ოქროპირიძე

## წერილი ბაქოდგან

„ივერიის“ მე-128 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი ქ. ბაქოდგან ვინმე გურულისა, რომელიც სამკითხველოს დაარსების შესახება სწერდა. სწორედ ძალიან გაჭირვებაშია ბაქოს ქართველობა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების უქონლობით. თითქმის შვიდას სულზედ მეტი იქნება ქართველობა და იმათში შეიძლება ოცდა-ათს კაცსაც არ მოსდიოდეს გაზეთი და ჟურნალი. ბაქოში განზრახვა ჰქონდათ სამკითხველო დაეარსებინათ ამ რამდენისამე წლის წინათ და კიდეც შეუკრებიათ საკმაო წიგნები. ეს წიგნები ინახებოდა „მელაანის“ ფირმის გამგე ი. იმნაძესთან და ახლა-კი არ ვიცით, რა იქნა ან ვისა აქვს შენახული. კარგს იზამს ბ-ნი იმნაძე, რომ გამოაცხადებდეს, სად არის ეს წიგნები. დიდად თანაგრძნობით მიეგებება ბაქოს ქართველობა, ამისთანა კეთილს საქმეს რომ ითავებდნენ და განახორციელებდნენ ბ-ნნი დეკანოზიშვილი, დადიანი ჯორჯაძე, ი. ჩუბინაშვილი და სხვანი. ამათის მეთაურობით, იმედია, რომ საქმე კარგად წავა. ნივთიერად ყველა დაეხმარება შეძლებისა და გვარად და მასთან ყველა აქ მყოფი ქართველი ვალდებულნი არიან შემწეობა აღმოუჩინონ კეთილს საქმეს.

ზემო ბჟინეველი

# რუსეთი

—

მთის მწარმოებელთა მომავალს კრებას, რომელიც ივლისში მოხდება ქ. ეკატერინბურგში, გზათა სამინისტროს წარმომადგენელნიც დაესწრებიან. გარდა ამისა, გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია ამ კრებას წარუდგინოს, რომ სამთის მრეწველო ქარხნებმა თავისი საკუთარი ვაგონები და ფარდულები იქონიოს, აგრეთვე განიხილოს, თუ როგორ უნდა გადაიტან-გადმოიტანოს ხოლმე ბარგი ამ ვაგონებით.

— პეტერბურგის ელისაბედის სახელობაზედ დაარსებულ ბავშვების საავადმყოფოს, რომელიც მთელს რუსეთში სამაგალითოა, ამ ჟამად ყვავილით ავადმყოფ ბავშვებისათვის ცალკე განყოფილება-ფარდული გაუჩენია, რომ ამითი სხვებს ავადმყოფობა ააცილოს თავიდგან. ხსენებული საავადმყოფო ევროპის სახელმწიფოთა საავადმყოფოთა შორისაც-კი სახელ-განთქმულია და სასურველია, რუსეთის სხვა ქალაქებსაც მიებაძოთ ამ მაგალითისათვის. სხვათა შორის, აქა სცადეს პირველად ხუნაგის წინააღმდეგ შრატის ხმარება, აქა სცადეს ხერხემალი როგორ გაუსწორონ ავადმყოფებსა და სხ.

— მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მთავრობას უთხოვნია ხაზინისათვის და უკვე მიუღია 1,085,729 მან., რომ აუდიტორიის შენობა გადააკეთოს და ააშენოს საზოგადო შენობა საზოოლოგიო მუზეუმისა, შედარებით ანატომიის ინსტიტუტისა, ზოოლოგიისა, ფიზიოლოგიისა, მცენარეთა ანატომიისა, მორფოლოგიისა, მცენარეთა მწყობრობისა, ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიისათვის. ახალის შენობების გეგმა უკვე მზად არის.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო, რომ სასოფლო-სამეურნეო მასწავლებლებსა და სამიწად-მოქმედო სკოლებში მეურნეობის პრაქტიკულად შესწავლის მსურველთ ნება მისცენ ხოლმე ხსენებულს სასწავლებლებში ყურის გდებისა და მუშაობისა, თუ ამ სასწავლებლების პედაგოგიური საბჭონი ამას შესაძლებლადა სცნობენ. პირობები პრაქტიკანტებისათვის შემდეგია: 16 წლისაზედ ნაკლებისა არ უნდა იყვნენ და პირველდაწყებითი სკოლა მაინც უნდა ჰქონდეთ შესრულებული. სასწავლებელში ყოფნის ვადა განსაზღვრული არ არის. ხოლო, თუ იგინი კურსის მოსმენის შემდეგ მოწმობის მიღებ განიზრახავენ, მაშინ-კი დანიშნულს დროს გამოცდილ იქმნებიან იმ საგნებიდგან, რომელსაც სასწავლებელში ისმენენ, სასწავლებელში სწავლის ფასს არ იხდიან და, თუ პანსიონში სცხოვრებენ, მაშინ შენახვის ფასი ერთმევათ. სასწავლებელში პრაქტიკანტები საზოგადო წესებს ემორჩილებიან.

# უცხოეთი

—

**ბოსნია და ჰერცეგოვინა.** ბევრს არც-კი გაუგონია ბოსნია და ჰერცეგოვინა და ვისაც-კი გაუგონია უთუოდ არ იცის რა მდგომარეობაში არიან ამ ქვეყნის მცხოვრებლები. ამიტომ მეტი არ იქმნება მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ მათი ყოფა-მდგომარეობა და ის, თუ რამდენად გაჭირვებასა და ტანჯვას იტანენ თავიანთ ბატონებისაგან. ბოსნია და ჰერცეგოვინა ამ ჟამად ავსტრიის პროვინციას შეადგენს და მდებარეობს ავსტრი-უნგრეთის აღმოსავლეთ-სამხრეთით. აღმოსავლეთით მას სერბია, ოსმალეთი და ჩერნოგორია საზღვრავს, დანარჩენს მხარეს-კი ავსტრია აქვს შემორტყმული. მცხოვრებლები სლავიანთა ჩამომავლობისანი არიან და ამ ჟამად მათი რიცხვი სამს მილიონს აღემატება. სარწმუნოებით თითქმის ნახევარი ქრისტიანია, ნახევარი-კი მაჰმადიანი. ამ ქვეყნების ისტორია ერთ განუწყვეტელ ტანჯვა-ვაების სურათს წარმოადგენს და ამხრივ ბევრით წააგავს ჩვენს ქვეყანას. მთელი საუკუნოებით ბოსნია და ჰერცოგოვინა იძულებული იყო მონობის უღელი ეტარებინა და სხვათა სურვილი და მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. 1466 წლამდის იგი ერთის მძლავრის მეზობლის ხელიდგან მეორისაში გადადიოდა, ხოლო ამ წელს ოსმალეთის შეუბრალებელმა სულთანმა მაჰამედ III დაიპყრო და ოსმალეთის ვილიაეთად გადააქცია. 1466 წლიდგან დაწყებული ამ საუკუნის ნახევრამდე, მთელი ოთხი საუკუნე ბოსნია და ჰერცოგოვინა ოსმალეთის მონობასა და მტარვალობის ქვეშ იმყოფებოდა. ყველამ იცის, რა არის ოსმალეთი ჯერ ეხლა, როდესაც ევროპა ნებას არ აძლევს ათასი მტარვალობა ჩაიდინოს და რა უნდა ყოფილიყო იგი ამ ორი ან სამის საუკუნის წინად, როდესაც ოსმალების თარეშობას საზღვარი არა ჰქონდა. ყოველისავე ამის მიუხედავად ბოსნიელთა და ჰერცეგოვინელთ თვით-ცნობიერება მაინც არ დაჰკარგეს და მეცხრამეტე საუკუნემდის ასე თუ ისე მოაღწიეს. 1878 წელს ბოსნია და ჰერცოგოვინა ავსტრი-უნგრეთს შეუერთდა იმ იმედით, რომ ეგებ ეხლა მაინც მოისვენო და მშვიდს, წყნარს ცხოვრებას მიეცეო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. ავსტრი-უნგრეთის მოხელეთ ერთი-ორათ უფრო შეავიწროეს, დასტანჯეს და უკიდურესს სიღარიბემდის მიიყვანეს ხალხი. ბოსნიელ და ჰერცეგოვინელთა თავისუფლება იმდენად შეზღუდულ-შევიწროებული იქმნა ავსტრიელებისაგან, რომ ხალხმა ნება-უნებურად ხმა აიმაღლა და უსამართლობის წინააღმდეგ ლაპარაკი დაიწყო. ენას, რომელსაც ოსმალები სრულიად არ შეჰხებიან, ავსტრი-უნგრეთის მოხელეთ დევნა დაუწყეს და ყოველ ღონეს ჰხმარობდნენ გაეუქმებინათ იგი. რასაკვირველია, ასეთს პირობებში ცხოვრება მეტად ძნელი და აუტანელი იყო და აი ბოსნიელთ და ჰერცეგოვინელთ აირჩიეს რამდენიმე საპატიო კაცი და ავსტრი-უნგრეთის იმპერატორთან გაჰგზავნეს თავიანთ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომ ეგებ იმან მაინც მიაქციოს ყურადღება ჩვენს მდგომარეობას და როგორმე გააუმჯობესოს იგიო. მაგრამ იაფად არ დაუჯდათ ეს თავხედობა. თუმცა იმპერატორმა მიიღო დელეგატები, მოისმინა კიდეც იმათი საჩივარი, მაგრამ საქმეს მაინც ბევრი არაფერი ეშველა. პირ-იქით, ბოსნიელთა და ჰერცეგოვინელთა ასეთმა მოქმედებამ ისე გააბრაზა და გაანჩხლა ადგილობრივი მთავრობა, რომ მათ უფრო სასტიკი ზომები იხმარეს მკვიდრთა შესავიწროებლად. მეორე დღეს დელეგაციის თითქმის ყველა წევრები შეიპყრეს და რამდენიმე დღე ციხეში დამწვდეული ჰყავდათ. ამისდა მიუხედავად ხალხი მაინც არ დასცხრა და თავიანთ შორის ახალი დეპუტაცია აირჩია იმპერატორთან გასაგზავნად. ამოარჩიეს სულ ღარიბი და უსწავლელი გლეხ-კაცები, მაგრამ იმპერატორის მახლობელთ აქაც იეშმაკეს და იმ მიზეზით, რომ იმპერატორი რუსეთში მიდის და არა სცალიანო, არ მიუშვეს მასთან. წარმომადგენელთ თხოვნა დასწერეს, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გაჭირვება და იმპერატორის კანცელარიაში გადასცეს. ამ საჩივარს 454 კაცმა მოაწერა ხელი. „ადგილობრივი მთავრობა, ნათქვამია საჩივარში, ყოველს ღონეს ჰხმარობს გაგვანადგუროს და მიწასთან გაგვასწოროს. უკანასკნელი მოხელეც-კი ისე გვექცევა, როგორც პირუტყვს და არა როგორც ღვთისაგან გაჩენილ კაცს. ყოველს უფლებას მოკლებულნი ვართ და მგონი, არც ერთი ხალხი არ არის ქვეყანაზედ ისე გაჭირვებული როგორც ჩვენ“. შემდეგ ნათქვამია ის, თუ მთავრობა როგორ სცდილობდა უთანხმოება და სიძულილი ჩამოეგდო თვით ბოსნიელთა და ჰერცეგოვინელთა შორის, რომ ამით ესარგებლა თავისის

სურვილის განსახორციელებლად. თხოვნაში მრავალი სხვა გაჭირვებაა მოხსენებული და, სხვათა შორის, ისიც, რამდენი ასი ოჯახი იქმნა გაუბედურებული და განადგურებული ავსტრიელ მოხელეთაგან. აი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში არიან დღეს ბოსნიელნი და ჰერცეგოვინელნი და ხსნას იმპერატორისგან-ღა მოელიან.

ევროპის სახელმწიფონი და მათ შორის ავსტრი-უნგრეთიც ოსმალეთს ემდურებიან, რომ იგი სასტიკად და ულმერთოდ ექცევა თავისს ქვეშევრდომ სხვა ტომის ხალთა და თვით-კი ერთი-ორად უფრო გადააჭარბეს მას და ჩუმად, პოლიტიკის წყალობით, უკიდურესს მდგომარეობამდის მიიყვანეს ყველა სხვა უმწეო და უიარაღო ერი.

## დამაკვირდი

რაც უნდათ, ისა სთქვან ღვთისმეტყველებმა, კაცობრიობა-კი მაინც სათნოებით უფრო შემოსილი ვიდრე ბიწიერებით.

ბუკლე

***

როდესაც სათნოებას ფასი ეკარგება, ოქროს მაზანდა ემატება.

პლატენი

***

უკეთესი მტერია კარგისა.

*

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

უწინდელ დროს, როცა კაცობრიობა ჯერ კარგად არ იცნობდა ბუნებას, არ იცოდა ბუნების კანონები, ყველაფერი ეუცხოვებოდა, ყველაფერი უკვირდა. უწინდელი ხალხი მრავალ უცნაურსა და საკვირველს თვისებას აწერდა სხვა-და-სხვა პირუტყვსა და ფრინველს. ძველად ბერძნები ამბობდნენ, რომ ყარყატს ძლიერ უყვარს თვისი ჯალაბობაო. ამბობდნენ, რომ ეს ფრინველი ჰკვებავს ხოლმე თავისს მოხუცებულ დედ-მამას. ამიტომ ბერძნებმა გამოსცეს კანონი, რომელსაც სახელად ერქვა პელარგონია (ბერძნულად ყარყატს სახელად ეწოდება—პელარგოს). ამ კანონის ძალით შვილებს ვალად ედოთ მოხუცებულ დედ-მამის პატრონობა. ეგვიპტეში ყარყატს ძველად დიდს პატივსა სცემდნენ. ასევე ექცეოდნენ ყარყატს არაბნიც, რომლებიც დიდის ამბით დღესასწაულობდნენ ხოლმე გაზაფხულზედ ყარყატების მოსვლას.

რომის მწერალი პლინი სწერს,—აქამდე არავინ იცის, საიდგან მოდიან ხოლმე ყარყატები და სად მიდიან. ყარყატის არც წასვლა უნახავს ვისმე და არც მოსვლა. ეს კი ვიცით, რომ წასვლის დროს ყარყატნი ერთად იკრიბებიან ღამე და ვინც სულ ბოლოს მოვა, მოჰკლავენ ხოლმე. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ყარყატს ენა არა აქვსო. ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ყარყატი არასდროს არა ჰყვირის. ყარყატი გველს ძლიერ ემტერება. ამიტომ თესალიაში დიდს პატივსა სცემენ და ვინც ყარყატს მოჰკლავს, სიკვდილითა სჯიან.

საზოგადოდ უწინდელ დროს ყარყატი ძლიერ კეთილ და სასარგებლო ფრინველად მიაჩნდათ. რომაელები ამბობდნენ, რომ ყარყატი ძლიერ კეთილი და სათნო არსება არისო. ებრაელნი ყარყატს ეძახდნენ—ჰასილას. ეს სიტყვა ნიშნავს კეთილს, სათნოს, პატიოსანს. რომაელთა აზრით-კი ყარყატი კეთილ მორწმუნე ფრინველი იყო (avis pia).

მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი მწერალი ამბობს, რომ ყარყატს ცუდი თვისებაც აქვსო, მაგალითად შურის ძიება. კაპიტონი ბროუნი სწერს: ჩემის სახლის მახლობლად ბუდე იყო ყარყატისა. ერთხელ ერთმა ყმაწვილმა თოფი ესროლა ბუდეს და ყარყატი დასჭრა. ამის შემდეგ დაჭრილი ყარყატი დიდ ხანს არ გამოსულა თვისის ბუდიდგან. შემოდგომის პირს ყარყატი იმდენად კარგად იყო, რომ სხვებთან ერთად წავიდა. გაზაფხულზედ გაჩნდა ჩვენს ეზოში ერთი დიდი ყარყატი, რომელიც უცნაურად შლიდა ფრთებს და შინაურს ყარყატს იწვევდა, მაგრამ ამას ფრთები შეჭრილი ჰქონდა და იმიტომ ვერ გაჰყვა. რამდენსამე დღის შემდეგ ყარყატი კიდევ მოვიდა ეზოში. შინაური ყარყატი სიხარულით მიეგება, მაგრამ გარეული უეცრად დაეცა და ცემა დაუწყო. ყარყატი გააგდეს ჩვენის ეზოს მცხოვრებლებმა. მეორე გაზაფხულს ერთის მაგიერ ოთხი ყარყატი მოვიდა ჩვენს ეზოში და ისევ იმ შინაურს ყარყატს დაუწყეს ცემა. საბრალოს მიეშველნენ ვინც-კი ეზოში იყო, მამლები, ქათმები, ბატები და იხვები. მესამე გაზაფხულის დამდეგ ოცი ყარყატი მოვიდა ეზოში, დაეცნენ ისევ იმ შინაურსა და ვიდრე ვინმე მიეშველებოდა, მოჰკლეს კიდეც.

ყარყატს ეჭვიცა სცოდნია თურმე. აი რას მოგვითხრობს მეცნიერი ფრანკლინი. ქალაქ სმირნაში ერთს მკურნალს ძლიერ უნდოდა ყარყატი დაეჭირა და მოეშინაურებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს ასეთი ხერხი იხმარა. დედალ ყარყატს მისის კვერცხების მაგიერ ქათმის კვერცხები ჩაუწყო. წიწილები რომ გამოიჩიკა, დედალ-მამალი ყარყატი სახტად დარჩნენ. მამა ცოტახანს შემდეგ წავიდა და სამ დღეს არ დაბრუნებულა. მეოთხე დღეს მოვიდა და თან მოიყვანა მრავალი ყარყატი. ყველანი დასხდნენ ბანზედ, ჩაისვეს შუაში დედალი ყარყატი და დაუწყეს განსამართლება. ეტყობა, დარწმუნებულნი იყვნენ, ქმარს უღალატა და ამიტომ ეყოლა ქათმის წიწილებიო. ბოლოს ყველანი დაესივნენ ბრალდებულს და მოჰკლეს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ივლისი.

**ტომსკი.** 2 ივლისს, ადმინისტრაცის, სამოსამართლო უწყების მოხელეთა და აუარებელის ხალხის თანადასწრებით გახსნილ იქმნა სამოსამართლო დაწესებულებანი.

**კრასნოარსკი.** 2 ივლისს, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გახსნილ იქმნა სამოსამართლო დაწესებულებანი.

**ირკუტსკი.** 2 ივლისს, სასჯულო საქმეთა მინისტრის მიერ გახსნილ იქმნა სამოსამართლო დაწესებულებანი.

**ჯედდა.** ეს რვა დღეა რაც შავი ჭირისაგან აღარავინ მომკვდარა.

**კონსტანტინეპოლი.** ხმა დადის, რომ ყველა დიდთა სახელმწიფოთა მმართველნი, პასუხი მისწერეს რა სულთანს, ურჩევენ: საზღვრის საქმეში დაუთმე საბერძნეთსაო. გერმანიის იმპერატორის პასუხში ნათქვამია, რომ მთავრობა ხელ-ახლა განიხილავს სულთანის თხოვნასაო. შემდეგ გერმანიის მთავრობამ ელჩის პირით ასეთივე წინადადება მისცა პორტას საზღვრის შესახებ. სულთანმა უპასუხა, რომ მხედველობაში მივიღებ ამ რჩევასაო, მაგრამ არა ვკისრულობ პასუხის გებას იმ შედეგისას, რაც შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ როგორ იმოქმედებს ერსა და ჯარზედ ამბავი თესალიის სრულიად დათმობისაო. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ჯერ არავინ იცის. როგორც ეტყობა სასახლის წარჩინებულნი და მინისტრნი ჯერ კიდევ წინააღმდეგნი არიან. ხალხს აღელვება არ ეტყობა, თუმცა აფიცრები, მოხელენი და სამღვდელოება თესალიის გადაცემის წინააღმდეგნი არიან. აქ იმ აზრისანი არიან, რომ უკმაყოფილება ერისა განგებ არის მხარ-დაჭერილიო.

**ბელგრადი.** ამ უკანასკნელ დროს გავრცელებული ხმა, ვითომ სერბიის ჯარი საომრად ემზადებაო, არა მართლდება.

**პეტერბურგი.** შეცდომის გასწორება. გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილი პირველი შინაგან სესხის მომგებ ბილეთების ტირაჟში გამოსულ ნომრების ნუსხაში ის ორი რიცხვი, რომელთაც კითხვითი ნიშანი უზის, ასე უნდა იქმნას წაკითხული: პირველი—14764 და მეორე—15561.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ ბ-ნს იოსებ ლეჟავას და ბ-ნს ნიკო მაჭავარიანს, რომ პირველმა შემოსწირა სტეფანწმინდის წიგნთ-საცავს 16 ცალი სხვა-და-სხვა სურათებიანი წმინდანების ცხოვრების აღწერით ქართული წიგნი და მეორემაც—20 ცალი ქართული წიგნი, ახალს კავკავის ქართულს სტამბაში დასტამბული, გამოცემა ივ. ჩითაშვილის, № 1 გალექსილი დავითაშვილის მიერ „სიალ-სიმართლე კაცს არ დაჰკარგავს“. ამ უკანასკნელის სურვილისამებრ ათი ამ წიგნთაგანი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ არის და ათიც მოხევეებში მუქთად დასარიგებლად.

ა. კობაიძე

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ როგორც მე, აგრეთვე ჩემი მრევლი ჩიბათის საზოგადოებას, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამო ეკკლესიას: ნიკოლოოზ ვასილის ძე მგელაძემ—მოსჭედა თავისის ხარჯით სახარება, რომელზედაც დახარჯა ოცი მანეთი; ეფიზო მგელაძისა რუსიძის ასულმა—ერთი ტრაპეზზედ დასასვენებელი ჯვარი, ღირებული ხუთ მანეთად, ბესარიონ გიორგისძემ ჩარხვაძემ—ფულად სამი მანეთი და მონაზონმა ანასტასია ჩახვაძის ასულმა—ერთი ხელი ბრწყინვალე შესამოსელი სამღვდლო, ღირებული ოცდა-ათ მანეთად.

მღვდელი ჩიბათის წმიდის-გიორგის ეკკლესიისა ბარნაბა ჯორბენაძე

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აუწყებს უძრავ მამულების პატრონებს, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1897 წლის 24 მარტს დაფასების ხარჯს მოუმატოს კიდევ $^1/_8$ პროცენტი გარდა იმ გარდასახადისა, რომელსაც ეხლა ახდევინებს, ე. ი. გარდა $^3/_4$ $^0/_0$-სა. ეს მომატებული გარდასახადი შეტანილ უნდა იქმნას ქალაქის გამგეობაში ამ წლის ივლისის დამლევამდე. შემდეგ-კი გარდასახადს ზედ დაერთვის ჩვეულებრივი ჯარიმა.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ზემოხსენებულ გარდასახადს მხოლოდ ამა 1897 წელს გამოართმევს მემამულეთ და ეს გარდასახადი არ აღემატება დაფასების ნახევარ წლის გარდასახადის მესამედს.

(3—6—2)

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცდა შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში—45 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—15 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამეში 2 (9 და 10 წლ ყმაწვ.) და მეოთხეში—5 (10 და 11 წლ. ყმაწ.); გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, გარდა მეხუთე კლასისა.

2) 67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

(3 ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება ბილებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს იმ შემთხვევაში მსურველნი მიღებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო ქაღალდებს დს ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის გარდასახადი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ იმათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილი პანსიონიდგან.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარის ხარჯით. ვინც საკუთარის ხარჯით შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოტანილ იქმნას აგვისტოს ოც-და-ხუთამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лобораторной ул. дом. Селинова.

10). აგვისტოს 25, 26 და 27 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{97}/_{98}$ სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

(5—უ.—2)



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაღესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარაშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ზეის გამოგზავნით 20$^0/_0$ ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Юлія 1897 г

სტამბა ჭ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.